სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება #632
(ოქმი #613)

თბილისი 2026 წლის 25 ივნისი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის თანამდებობზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად,

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს ღია კონკურსი წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული განცხადების შესაბამისად.
2. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ-გვერდზე.

დანართი: განცხადება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

გრიგოლ მურღულია

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ზაზა აბაშიძე

თამილა დოლიძე Tamila Dolidze 61001042033 Digitally signed By Tamila Dolidze Date: 2026.06.25 15:21:28

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

Soso Sturua 61002008062 Digitally signed By Soso Sturua Date: 2026.06.25 15:26:42

სოსო სტურუა

ბონდო მძინარაშვილი

გიორგი იაკობიშვილი

იზაბელა ოსიპოვა Izabela Osipova 01002008731 Digitally signed by Izabela Osipova Date: 2026.06.25 15:47:10

ლაშა ტუღუში

განცხადება

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის
ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო აცხადებს ღია კონკურსს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე.

2. გენერალური დირექტორობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

3. გენერალური დირექტორობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და მაუწყებელში ან/და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

4. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.

5. პირველი ტურისთვის ნებისმიერმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განცხადება (საკონტაქტო მონაცემების მითითებით) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს სახელზე და შემდეგი დოკუმენტები (ქაღალდის ვერსია ან ელექტრონული ფორმატი):

5.1 წინამდებარე განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები;

5.2 CV;

5.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5.4 სამოტივაციო წერილი;

5.5 ცნობა იმის შესახებ, რომ არ იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

5.6 ხელწერილი, რომ კანდიდატი გაეცნო "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონს, კერძოდ, აღნიშნული კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე.

6. გენერალური დირექტორობის კანდიდატებმა წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" კანცელარიაში შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N31 ან ელექტრონულ მისამართზე board@1tv.ge, 2026 წლის 26 ივნისიდან - 2026 წლის 25 ივლისის ჩათვლით. მატერიალური სახით განცხადებები მიიღება ყოველ დღე, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 19:00 საათამდე, ხოლო, უქმე და დასვენების დღეებში - 10:00 საათიდან 12:00 საათამდე.

7. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური დირექტორობის კანდიდატი არ წარმოადგენს ან/და არასრულყოფილად წარმოადგენს წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს აპარატი მას დაუდგენს ხარვეზს, რომელიც გამოსწორებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 კალენდარული დღისა.

8. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და შერჩევის საფუძველზე, სამეურვეო საბჭოს მიერ გამოვლინდებიან მე-2 ტურში გასული კანდიდატები.

9. მე-2 ტურში გასულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მართვის ხედვა (არაუმეტეს A4 ფორმატის 2 ფურცლისა/გვერდისა).

10. მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გაიმართება გასაუბრება.

11. მე-2 ტურის დანიშვნის ვადა, ასევე, 1-ლი და მე-2 ტურის შედეგები სამეურვეო საბჭოს მიერ გამოცხადდება დამატებით.

12. წინამდებარე განცხადება განთავსდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე: www.1tv.ge.